

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი

სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე, თბილისი

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება ქართული ოთხთავის ერთი ძველი ხელნაწერი (სიემ-73), რომელიც 1948 წელს მუზეუმისთვის გადაუცია სოფ. ტვიბერის (ცხუმარის თემი) მკვიდრს, გიორგი ქაღდანს. X-XI საუკუნეებით დათარიღებული სახარების ეს ნუსხა სამეცნიერო ლიტერატურაში ტვიბერის ოთხთავის სახელით არის ცნობილი¹ და, მიუხედავად სიძველისა, სახარების ქართული თარგმანების მკვლევართა ყურადღების ცენტრში დღემდე არ მოხვედრილა². აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა მისი სრული აღწერილობაც.

ხელნაწერი პირველად აღწერა და X საუკუნით დაათარიდა ელ. მეტრეველმა, რომელმაც სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის არაერთხელ მონახულების შემდეგ შეადგინა ამ მუზეუმში დაცული ხელნაწერების მცირე კატალოგი³, რომელშიც ტვიბერის ოთხთავი შეტანილია 41-ე ერთეულად და აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია X საუკუნის ბოლოს ან XI საუკუნის დამდეგს. მანუსკრიპტს X საუკუნეში გადაწერილად მიიჩნევს პ. ინგოროყვა⁴, თუმცა, ვფიქრობთ, ხელნაწერის პალეოგრაფიული მახასიათებლები მისი XI საუკუნით დათარიღების საშუალებასაც იძლევა.

ჩვენ ორგზის მოგვეცა საშუალება თითო დღით გვენახა და შეგვესწავლა ტვიბერის ოთხთავი სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, სადაც ის ამჟამად 73-ე ნომრით ინახება. ხელნაწერი 69 ფურცელს შეიცავს, მისი ზომებია: 15X12,5. ტექსტი შესრულებულია მუქ ეტრატზე ნუსხური ანბანით, ნაწერია ერთ სვეტად. ეტრატის ფურცლები ალაგ-ალაგ მეტად გამუქებულია,

¹ პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ. 4, თბ., 1978, გვ. 343.

² ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფმა, რომელსაც პროფ. ზ. სარჯველაძე ხელმძღვანელობდა, მოიძია და შეისწავლა ოთხთავის რამდენიმე ათეული ხელნაწერი, რომელთა დიდი ნაწილი აქამდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის ობიექტი. მათ შორისაა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ეს ხელნაწერიც.

³ ელ. მეტრეველის შედგენილი კატალოგი ხელნაწერის სახით არსებობს ორ პირად: ერთი დაცულია სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხოლო მეორე – თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელენე მეტრეველის არქივი, № 369.

⁴ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 343.

რაც ტექსტის გარჩევას საკმაოდ აძნელებს. შეუიარაღებელი თვალით ფაქტობრივად არ იკითხება ნუსხის პირველი გვერდი. როგორც ჩანს, მუხეუმში მოხვედრამდე ხელნაწერი მეტად დაზიანებული ყოფილა. ის რესტავრირებული ჩანს გასული საუკუნის ბოლოს. ხელნაწერის ფურცლები აღდგენილი და გაწმენდილია. რესტავრაციის შემდგომ ნუსხა აკინძულია და ჩასმულია ტყავის შავ ყდაში. აკინძვის დროსვეა არეული ფურცლები.

ტექსტის ძირითადი ნაწილი ნაწერია ყავისფერი მელნით. სახარების თითოეული მუხლის საწყისი საზედაო და მუხლების ნუმერაციისათვის გამოყენებული ასოები ასომთავრულია. ისინი შესრულებულია როგორც სინგურით, ისე ტექსტისავე ყავისფერი მელნით. სინგურითა და ნუსხური ანბანითაა ნაწერი 33r-ზე შემორჩენილი ერთადერთი სათაური: სახარებაჲ: მარკვის: [თავი: ბ]. მანუსკრიპტში იშვიათად გვხვდება მოხატული საზედაო ასოები, რომლებიც სინგურითა და ყავისფერი მელნითაა შესრულებული.

ხელნაწერს აქვს გადაწერისდროინდელი რვეულებრივი პაგინაცია. რვეულის საწყისი გვერდის ნომერი ზედა აშის შუაშია მოთავსებული, ბოლო გვერდისა კი – ქვედა აშის შუაში. დღეს გადარჩენილი ბოლო რვეული მეთორმეტეა. ნუსხის ფურცლები გასულ საუკუნეში ორჯერ არის ფანქრით დანომრილი. ადრინდელი ნუმერაცია ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში წერია, ახალი კი – ქვევით, შუაში. ეს ორი ნუმერაცია ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე, მაგალითად, ძველი ნუმერაციით 21-ე ფურცელი დღეს მე-5-ა, ძველი მე-4 ფურცელი დღეს მე-15-ა და ასე შემდგომ.

1.1 ტვიბერის ოთხთავის გადამწერი

რადგანაც ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერის ტექსტი შეუსწავლელი იყო, ამდენად მისი გადამწერის ვინაობაც უცნობი რჩებოდა. ჩვეულებრივ, გადამწერები თავიანთ მინაწერებს ხელნაწერთა აშეებზე, ანდერძის ბოლოს, ტექსტის გარკვეული მონაკვეთის დასრულების შემდეგ ან სხვა ადვილად შესამჩნევ ადგილზე ათავსებენ. ტვიბერის ოთხთავის გადამწერს კი მინაწერები სახარების მუხლების ბოლოს, ტექსტის დასრულების შემდეგ, იმავე სტრიქონზე აქვს მიწერილი. მუხლის ტექსტს მინაწერისაგან მხოლოდ განკვეთილობის ნიშანი (:>) ჰყოფს. დღემდე შემორჩენილ ტექსტში სულ ამგვარი 10 მინაწერია, აქედან 5 ხელნაწერის შემდგომ მომხმარებლებს საგულდაგულოდ გადაუშლიათ, მაგრამ მათი ცდის მიუხედავად, მაინც

ადვილად გასარჩევია მინაწერის ტექსტი. ხელნაწერი გადაუწერია ვინმე აბრაჰამს. 47v-ზე არსებულ მინაწერში ის თავის თავს მოიხსენიებს, როგორც მწერალს (*მწერლჲ*), ზოგან კი თავს გლახაკს უწოდებს (*აბრაჰამ გლ~ხკჲ*). მოვიყვანოთ თითოეულ მინაწერს სრულად:

8v: მთ. 27,56 მუხლის ბოლოს: *ქე: შწ: აბრაჰამ გლ~ხკჲ :> (გადამლილია).*

15v: მთ.13,46 მუხლის ბოლოს: *ქე: შწ: აბრაჰამ გლ~ხკჲ :>*

21r: მთ.17,20 მუხლის ბოლოს: *ქე შწ აბრაჰამ გლ~ხკჲ :> (გადამლილია).*

29r: მთ. 24,42 მუხლის ბოლოს: *ქე: შწ: აბრაჰამ :> (გადამლილია).*

30r: მთ.25,13 მუხლის ბოლოს: *ი~ჟ ქე: შე: აბრაჰამ:> (გადამლილია).*

31r: მთ.25,34 მუხლის ბოლოს: *+ ქე: შწ: აბრაჰამ :> (გადამლილია).*

44v: მრკ.6,44 მუხლის ბოლოს: *ქე შწ აბრაჰამ:>*

47v: მრკ.8,10 მუხლის ბოლოს: *ქე შწ აბრ~ჰმ მწერლჲ :>*

59v: მრკ.10,30 მუხლის ბოლოს: *ქე შწ აბრაჰამ :>*

67r: მრკ.14,26 მუხლის ბოლოს: *ქე შწ~წ აბრაჰამ :>*

12 ტვიბერის ოთხთავში დაცული ტექსტი

ხელნაწერის ტექსტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ნუსხაში ფრაგმენტულადაა დაცული მათეს, თითქმის სრულად კი მარკოზის სახარებათა ტექსტები. ხელნაწერის დაზიანების გამო ლუკას და იოანეს სახარებების ტექსტები დღეს დაკარგულია. როგორც ჩანს, ხელნაწერის აკინძვისას არ იქნა გათვალისწინებული ტექსტის შინაარსი, რის გამოც დღეს ხელნაწერ წიგნში არეულია ტექსტის მიმდევრობა. მას აკლია მათეს სახარების 1-11 თავები სრულად. ნუსხა დღეს, სავარაუდოდ, იწყება მათეს სახარების 12,29 მუხლით. ხელნაწერის დეტალური შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა დაგვედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო ტვიბერის ოთხთავში ფურცლების თავდაპირველი თანმიმდევრობა, რასაც ქვემოთ სახარების შესაბამისი მუხლების მითითებით წარმოვადგენთ:

მათეს სახარების მუხლების ტექსტი ხელნაწერში:

1r მთ. [12,29-36] ⁵	53r-v მთ. 21,-37-22,10
1v მთ. 12,36-42	54r-v მთ. 22,10-29
11r-v მთ. 12-43-13,11	25r-v მთ. 23,8-23
13r-v მთ. 13,11-17-23	26r-v მთ. 23,23-37
14r-v მთ. 13,24-37	27r-v მთ. 23,37-24,20
15r-v მთ. 13,37-52	28r-v მთ. 24,21-39
16r-v მთ. 13,52-14,13	29r-v მთ. 24,40-25,10
12r-v მთ. 14,13-30	30r-v მთ. 25,10-29
2r-v მთ. 14,30-15,14	31r-v მთ. 25,30-26,1
17r-v მთ. 15,14-31	32r-v მთ. 26,2-24
18r-v მთ. 15,31-16,10	3r-v მთ. 26,24-41
19r-v მთ. 16,10-26	4r-v მთ. 26,41-57
20r-v მთ. 16,26-17,16	5r-v მთ. 26,58-75
21r-v მთ. 17,16-18,7	6r-v მთ. 27,1-19
21r-v მთ. 18,7-22	7r-v მთ. 27,20-39
23r-v მთ. 18,22-19,20	8r-v მთ. 27,39-57
49r-v მთ. 20,5-23	9r-v მთ. 27,57-28,11
50r-v მთ. 20,23-21,7	10r მთ. 28,11-20
51r-v მთ. 21,7-22	10v სახარების ტექსტი არ არის წარმოდგენილი, დაუწერელია.
52r-v მთ. 21,23-37	

მარკოზის სახარების მუხლების ტექსტი ხელნაწერში:

33r-v მრკ. 1,1-19	55r-v მრკ. 8,31-9,8
34r-v მრკ. 1,19-40	56r-v მრკ. 9,8-28
35r-v მრკ. 1,40-2,14	57r-v მრკ. 9,28-50
36r-v მრკ. 2,15-3,5	58r-v მრკ. 9,50-10,22
37r-v მრკ. 3,5-28	59r-v მრკ. 10,22-39

⁵ ხელნაწერის 1r ტექსტი ფაქტობრივად არ იკითხება. მათეს სახარების აქ მოცემული მუხლები სავარაუდოდ არის აღდგენილი. ხელნაწერის თითოეულ გვერდზე საშუალოდ 6-9 მუხლია.

38r-v მრკ. 3,28-4,17	60r-v მრკ. 10,39-11,10
39r-v მრკ. 4,17-36	61r-v მრკ. 11,10-31
40r-v მრკ. 4,36-5,15	62r-v მრკ. 11,31-12,19
41r-v მრკ. 5,15-35	63r-v მრკ. 12,19-38
42r-v მრკ. 5,35-6,8	64r-v მრკ. 12,38-13,16
43r-v მრკ. 6,8-27	65r-v მრკ. 13,17-14,3
44r-v მრკ. 6,27-56	66r-v მრკ. 14,3-23
45r-v მრკ. 6,56-7,6	67r-v მრკ. 14,23-42
46r-v მრკ. 7,6-27	68r-v მრკ. 14,43-63
47r-v მრკ. 7,27-8,10	69r-v მრკ. 14,63-15,14
48r-v მრკ. 8,11-31	

1.3 ტვიბერის ოთხთავის გადამწერისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი

როგორც ზემოთ გაირკვა, ხელნაწერი გადაწერილია აბრაჰამ მწერლის მიერ. ის არასისტემატურად, მაგრამ საკმაო ინტენსივობით უშვებს გარკვეული სახის შეცდომებს. ამ შეცდომების აღნუსხვამ და კლასიფიკაციამ, მათმა ინტენსივობამ და დაშვებული შეცდომების ანალიზმა შეიძლება გადამწერისთვის დამახასიათებელი თავისებურებების დადგენა შეგვაძლებინოს, რაც გადამწერის ხელთან ერთად შეიძლება სხვა ხელნაწერთა გადამწერების იდენტიფიკაციისათვის, ანაც სხვა მოვლენის ასახსნელად გამოდგეს⁶.

ძველი ქართული ენის ძეგლებში გადამწერთა მიერ დაშვებული უამრავი შეცდომა შეიძლება ვიპოვოთ. თითოეულ ძეგლში თითოეული ტიპის შეცდომა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება. ზოგიერთი გრაფემის ან გრაფემათა კომპლექსის დაწერილობა ზოგ ძეგლში უგამონაკლისოდ გვხვდება, იგივე შეცდომა კი სხვა ვრცელ ხელნაწერში შეიძლება გამონაკლისის სახით შეგვხვდეს.

ტვიბერის ოთხთავში დადასტურებული გადამწერის შეცდომების ნაწილს ფონეტიკური ახსნა შეიძლება მოუძებნოთ, ნაწილი კი გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოქმნილი.

⁶ ტვიბერის ოთხთავის გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომებს და მათ მიმართებას ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებთან სპეციალურად სწავლობს ს. სარჯველაძე.

ტვიბერის ოთხთავის გადამწერ აბრაჰამს არასისტემატურობა ახასიათებს. იგი ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით ხან წერს **შ-ს**, ხანაც არა. სიტყვა „დღე“, მიუხედავად საჭიროებისა, უმეტესად **შ-თია** დაწერილი – „**დღშ**“ ამის საპირისპიროდ „**ღამე**“ ყოველთვის ე მესხუთითაა წარმოდგენილი, მაგალითად:

*მთ. 12,40: იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ **ღღშ** და სამ **ღამე**, ეგრეთ იყოს ძშ კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ **ღღშ** და სამ **ღამე**.*

დღითიდღე ე და **შ** გრაფემებითაა დაწერილი:

*მთ. 26,55 **დღითითიდღეშ** თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ.*

ეშ დაწერილობა გვხვდება სიტყვაში „დღე“ შემდეგ მუხლებში:

*მთ. 25,13: არა იცით **ღღღშ** იგი, არცა უამი;*

*მთ. 27,45: დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ ვიდრე მეცხრედ **უამამღღღშ**;*

*მთ. 27,51: კრეტსაბმელი ... განიპო ორად ზეითგან ვიდრე ქუე **ბოლომღღღშ**;*

*მთ. 28,15: განითქუა სიტყუაჲ ... ვიდრე დღევდელად **ღღღმღღღშ**;*

*მრკ. 1,16: იყვნეს იგინი **მესათხველეშ**;*

*მრკ. 2,9: აღიღე ცხედარი შენი და **ვიდოდღეშ**;*

*მრკ. 6,10: ვიდრე მიერ **გამოსლვადმღღღშ**.*

„**ძე**“ სახელობით ბრუნვაში ხან **შ** გრაფემითაა დაწერილი, ხანაც **ე-თი**:

*მთ. 21,38: იხილეს რაჲ **ძე** იგი მისი.*

ამის საპირისპიროდ გვაქვს: *მთ. 12,40: ეგრეთ იყოს ძშ კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა;*

მთ. 14,33: ჭეშმარიტად ძშ ღმრთისაჲ ხარ, და სხვ.

უგამონაკლისოდ **შ** გრაფემითაა ტექსტში დაწერილი სიტყვები **ხშ**, **მზშ**. მაშინ, როცა სახელობით და ნათესაობით ბრუნვაში **ქრისტშ** და **ქრისტსი** ხან **შ-თია** წარმოდგენილი, ხანაც **ე-თი**. გადამწერი აბრაჰამი უკუე-სა ნუუკუე-ს ხან **ე-თი**, ხანაც **შ-თი** წერს, ხანაც ორივე გრაფემით:

***უკუშ** (მთ. 17,26; 19,7; 24,42; 25,12; 26,22; 26,25; მრკ. 4,13; 12,23; 12,24; 12,35; 13,35); **ნუუკუშ** (მთ. 25,9; 27,64; მრკ. 4,12; 13,36; 14,2; 14,19).*

ნუუკუე ე და **შ** გრაფემებით ორგზის გვხვდება:

*მთ. 15,32: **ნუუკუეშ** დაცუვენ გზასა ზელა; ასევე მთ. 13,29 მუხლშიც.*

ორგზის წერია ხელნაწერში **ნუუკუე** ე გრაფემით:

*მთ. 13,15: **ნუუკუე** თუალითა იხილონ; ასევეა მთ. 18,10 მუხლშიც.*

გადამწერი ზ გრაფემას აგრეთვე წერს უზ დაწერილობაში შემდეგ სიტყვებში: *მარჯუშნა* (მთ. 20,21; 26,64; 27,29;) *ქუშყანა* მთ. 24,31; *გუწყოს* მთ. 25,9; *მარჯუშსა* მთ. 26,16; *განისუშნეთ* მთ. 26,45; *გამოხუშლით* მთ. 26,55; *დარლუშვად* მთ. 26,61; *შესუშნებულთა* მთ. 27,52; *მოვჰკუთთე* მრკ. 6,16; *მარჯუშ* მრკ. 6,21. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, სხვაგან უზ დაწერილობა ტექსტში არ გვხვდება.

ზ გრაფემითაა დაწერილი ხელნაწერში ღმერთის სახელი მთ. 27,46 მუხლში: *თქუა: ზლოჲ, ზლოჲ! ლამა საბაკთანო.*

გადამწერი აბრაჰამი ე და ზ გრაფემებს არასისტემატურად ხმარობს თავის მინაწერებშიც. ზ გრაფემით წერს იგი სიტყვა *შეიწყალს*-ს შ 44v; 47v; 59v; შ 67r-ზე წარმოდგენილ მინაწერებში. *შეიწყალე* (შე) წერია მის მინაწერებში 8v, 15v, 21r, 29r, 30r და 31r-ზე.

ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერს სხვა ორთოგრაფიული თავისებურებებიც ახასიათებს:

ჯ-ს ნაცვლად უ:

მთ. 24,29: ვარსკულაენი გარდამოცუოდინ ზეცით.

მრკ. 6,6: დაუკურდა ურწმუნობაჲ იგი მათი და მიმოიქცეულა გარემო სოფლებსა.

მრკ. 9,25: უტყვსა და ყრუსა მაგას სულსა მე ვიბრძანებ შენ.

უ-ს ნაცვლად ჯ:

მრკ. 12,15: მომართუთ მე ღრაჰკანი, და ვიხილო.

მრკ. 12,16: ხოლო მათ მოართვეს.

ჯ-ს ნაცვლად უი:

მთ. 13,1: დაჯდა ზღუისკიდესა.

მთ. 17,27: მოიღე იგი და მიეც მათ შენთვის და ჩემთვის.

მთ. 18,3: ვერ შეხუიღეთ სასუფეველსა ცათასა.

მთ. 18,23: ინება სიტყუისგებაჲ მონათა მისთა თანა.

მთ. 20,28: მიცემად სული თვისი საკსრად მრავალთათუის.

მთ. 21,38: ესე არს მკუიდრი, მოვედით და მოკლათ იგი, და დავიპყრათ სამკუიდრებელი მისი.

მთ. 21,45: ცნეს, რამეთუ მათთვის თქუა.

მთ. 24,31: წარავლინნეს ანგელოზნი მისნი საყუირითა ღიღითა.

მთ. 5,11: უფალო, განუიღე ჩუენცა! და სხე.

ო-ს ნაცვლად უ:

მთ. 19,1: საზღვართა ჰურიასტანისათა, წიად იურდანესა.

მთ. 12,49: მიყო კელი მისი **მუწაფეთა** თღსთა.

მთ. 13,5: სხუაჲ დავარდა **კლდუენსა** ზელა.

მრკ. 14,1: შემდგომად **ურისა** ღღისა.

მრკ. 6,17: შესუა საპრობილედ **ჰეროდიაჲსთჳს, ცულისა** ფილიპესა, ძმისა მისისა, რამეთუ იგი შეირთო **ცოლად**.

მრკ. 8,3: რომელნიმე მათგანნი **შურით მუსრულ** არიან, და სხვ.

მეტად ტიპურია და ხშირია ტვიბერის ოთხთავში -ოდ სავრცობის -უდ-ით გადმოცემა:

მთ. 13,54: **განუკურდებულა** მათ და იტყოდეს.

მთ. 14,24: და **გვულებულა** ღელვათაგან, რამეთუ წინაუკუნ იყო ქარი.

მრკ. 12,25: რაჟამს მკდრეთით აღდგენ, არცა **იქორწინებუდიან**, არცა **განიქორწინებუდიან**, და სხვ.

უ-ს ნაცვლად ო:

მრკ. 14,21: **ომჯობეს** იყო მისა.

მრკ. 5,34: **ასოლო**, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

მთ. 15,9: **ცოლად** მმსახურებენ მე.

მთ. 13,54: და მოვიდა **მამოლად** თჳსად.

მთ. 23,20: რომელმან **ფოცოს** საკურთხეველსა მას, **ფოცავს** მას.

მთ. 23,21: რომელი **ფოცავს** ტაძარსა მას, **ფოცავს** მას.

მთ. 23,22: რომელმან **ფოცა** ცასა, **ფუცავს** საყდარსა ღმრთისასა, და სხვ.

ი-ს ნაცვლად ა:

მთ. 13,11: მოცემულ არს ცნობად **სადღუმლოჲ** სასუფეველისა ცათაჲსა.

მრკ. 4,22: რომელი არა გამოცხადნეს, და არცა იყოს **სადღუმლოჲ**.

მთ. 17,14: მოუკლა მას **კაცჲ** ერთი. **კაცჲ** გვხვდება აგრეთვე მთ. 21,33; მთ. 22,11;

მთ. 27,57; მრკ. 2,27 და მრკ. 14,21 მუხლებში.

მთ. 14,31: მცირედმორწმუნეო, რაჲსათჳს **შეურგულდი?**

მთ. 26,31: დავსცე **მწყემსჲ**, და განიბნინენ ცხოვარნი.

მრკ. 14,14: **მოძღუარჲ** იტყვს.

მრკ. 6,9: რაჲთა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორი **სამოსელიჲ**.

მრკ. 6,35: და ვითარ **მრავალი ჟამჲ** წარსრულ იყო.

მრკ. 8,34: აღიღენ **ჯუარჲ** თჳსი.

მრკ. 14,47: წარჰკუეთა ყური **მისჲ**.

ხელნაწერის ტექსტიდან მრავალი ამგვარი ნიმუშის მოტანა შეიძლება. აქ მხოლოდ დავამატებთ გადაშვების მინაწერებში ოთხგზის დადასტურებულ სიტყვას – **გლახაკჲ** და ერთხელ ნახმარს – **მწერალიჲ**.

დ-ის ნაცვლად ი:

მრკ. 4,11: თქუნდა მოცემულ არს ცნობად საადუმლოი ივი.

მრკ. 5,7: რაი არს ჩემი და შენი, იესუ, ძეო მალლისავო? და სხვ.

აქვე მოვიყვანთ ტექსტში არსებულ ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენის ამსახველ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

ბგერათა განვითარება:

მრკ. 5,7: რაი არს ჩემი და შენი, იესუ, ძეო მალლისავო?

მრკ. 14,58: მე დავარღვეო ტაძარი ესე კელითქმნული.

მთ. 14,27: მუნთქუესვე სიტყუად იწყო მათა იესუ.

ასიმილაცია:

მთ. 16,12: არა ჰრქუა მათ გრწალგაჲ ცუმისავან.

დისიმილაცია:

მთ. 23,23: ათეულსა მოიღებთ ბიტნაკისასა.

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია გადამწერის მიერ ტექსტში არსებული პირდაპირი ნათქვამის დროს დამატებული სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო:

მრკ. 3,30: რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სული არაწმიდაჲ თანა არსო.

2. ტვიბერის ხელნაწერში დაცული ოთხთავის ტექსტის რაობისათვის

აბრაჰამ გადამწერმა მის მიერ გადაწერილი ხელნაწერით შემოგვინახა ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი გამორჩეული ნუსხა. როგორც მისმა ტექსტოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, ტვიბერის ოთხთავი ორი განსახვავებული რედაქციის ტექსტის შემცველი ხელნაწერია. ხელნაწერში შემორჩენილი მათეს სახარების დიდი წილი და მარკოზის სახარების აქ დაცული ტექსტი მთლიანად ქართული ოთხთავის თარგმანის წინარეათონური (პროტოვულგატის) რედაქციის ნიმუშია. მათეს სახარებაში არის მცირე ჩანართი – 14,19-15,24 მუხლები, რომელიც ნარევი რედაქციის ტექსტს წარმოადგენს. ნარევი რედაქციის ტექსტისათვის დამახასიათებელია: სახარების ტექსტში ერთმანეთის გვერდით ადიშური, პროტოვულგატური და ორიგინალური ვარიანტების არსებობა.⁷

⁷ ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ნარევი რედაქციის ხელნაწერები და მათი ტექსტი, წიგნში: ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია, ტექსტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-1240 XI ს. ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ს. სარჯველაძემ, თბ., 2010, გვ. 275-283.

ოთხთავის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში ძირითადი და ჩანართი ტექსტების არსებობის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა. პირველად ამ სახის კვლევა ადიშის ოთხთავის ტექსტში არსებული არაორგანული ჩანართის შესახებ 1924 წელს გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ.⁸ ადიშის ოთხთავში პროტოვულგატის რედაქციულ არაორგანულ ჩანართს და ხანმეტი ოთხთავის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებულ ადიშური რედაქციის ჩანართს (მთ. 5,18-11,7) არაერთი მკვლევარი შეხებიდა.⁹ როგორც ი. იმნაიშვილმა დაადგინა, X ს. ქსნის ოთხთავის ხელნაწერიც ორი რედაქციის ტექსტს შეიცავს.¹⁰ ადიშური რედაქციის ჩანართი გამოვლინდა XI საუკუნის კიდევ ერთი ოთხთავის H-1240-ის მარკოზის სახარების პროტოვულგატის რედაქციის ტექსტში.¹¹

2.1 ტვიბერის ოთხთავის ორიგინალური წაკითხვები

როგორც აღვნიშნეთ, ტვიბერის ოთხთავში დაცული მათეს სახარების 14,19-15,24 მუხლების ტექსტი ნარევი რედაქციისაა და მასში წარმოდგენილია როგორც ადიშური და პროტოვულგატური რედაქციის ვარიანტები, ასევე ორიგინალური იკითხვისებიც.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც დასტურდება ტვიბერის ოთხთავის ორიგინალური წაკითხვები.¹² სურათის ნათელსაყოფად ტვიბერის

⁸ ს. კაკაბაძე, სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5-6 საუკუნეებში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით: საისტორიო ძიებანი, თბ., 1924, გვ. 7. ადიშის ოთხთავის ხელნაწერში ჩანართი ტექსტის შესახებ იხილეთ აგრეთვე: ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თსუ შრომები, ტ. 28, თბ., 1946, გვ. 183-236; ა. შანიძე, წინასიტყვაობა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945, გვ. 010-11; ლ. ქაჯაია, ხანმეტი ოთხთავის რედაქციული თავისებურებანი: ხანმეტი ტექსტები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984, გვ. 301-326.

⁹ აქ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს დავასახელებთ: ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949; ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თსუ შრომები, ტ. 28, თბ., 1946, გვ. 183-236; ა. შანიძე, წინასიტყვაობა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945, გვ. 010-11; ლ. ქაჯაია, ხანმეტი ოთხთავის რედაქციული თავისებურებანი: ხანმეტი ტექსტები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984, გვ. 301-327.

¹⁰ ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია: ლიტერატურული ძიებანი, V, თბ., 1949, გვ. 291-321; მისივე, ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მარკოზის თავის მაგალითზე: პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1949, გვ. 211-40; მისივე, ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მათეს და იოვანეს თავების მაგალითზე: პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1959, 299-344.

¹¹ ს. სარჯველაძე, იყო თუ არა ძველ ქართულ ენაში სიტყვა „სუმუროვანი?“ ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბ., 2003, გვ. 108-111; მისივე, ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი..., გვ. 290-292.

¹² ტვიბერის ოთხთავში ჩანართის სახით არსებული მათეს სახარების 14,30-15,14 მუხლების ნარევი რედაქციის ტექსტის შესახებ იხ. დ. თვალთვაძე, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული

ხელნაწერის ტექსტის პარალელურად (რომელსაც აღვნიშნავთ ლიტერით τ), მოგვყავს შესაბამისი ტექსტი ადიშის ოთხთავის (C), წინათონური (Praeath.)¹³ და გიორგი ათონელისეული (Athon.) რედაქციის ძირითადი ხელნაწერებისა.

მთ. 14,30

τ : უფალო, განმარინე მე!

C: უფალო, მიკსენ მე!

Praeath: უფალო, მიკსენ მე!

დანთქმად ODAEVBLFmGalco τ r τ + და ODAEVbT[#]L τ ; ღალატ-ყო DAbT[#]Fa τ o τ ;

მიკსენჯანმარინეტ; მე + რამეთუ წარვწყმდეგი F.

Athon: უფალო, მიკსენ მე!

მთ. 14,33

τ : და რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, თაყუანის-სცეს მას და **პრქუეს**: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ.

C: ხოლო რომელნი-იგი იყვნეს ნავსა მას შინა, **მოუკდეს** და თაყუანის-სცეს მას და **ეტყოდეს**: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ შენ.

Praeath: ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, **მოუკდეს** და თაყუანის-სცეს მას და **ეტყოდეს**: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ შენ.

ხოლო ... შენ T*; რომელნი RP; რომელნი (+ იგი m) იყვნეს ნავსა მას შინა ODAET[#]m;

მოუკდეს|მოვიდეს მისა m; მოუკდეს და - τ ; და¹ - m; თაყუანის- Lmc; -სცეს O, -ცეს

მუზეუმის M-41 ხელნაწერში დაცული მათეს სახარების ტექსტისათვის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 2010, გვ. 43-55.

¹³ წინათონური რედაქციის (Praeath.) ძირითადი ხელნაწერები აღნიშნულია შემდეგი ლიტერებით: **X** – ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); **O** – ოპიზის ოთხთავი (913 წ.); **D** – ჯრუჭის ოთხთავი (H 1660, 936 წ.); **E** – პარხლის ოთხთავი (A-1453, 973წ.); **B** – ბერთის ოთხთავი (Xს.); **T** – წყაროსთავის ოთხთავი (A-98, Xს.); **M** – მარტვილის ოთხთავი (S-391, Xს.); **L** – ტბეთის ოთხთავი (995წ.); **A** – ქსნის ოთხთავი (A 509, Xს.); **b** – A-1699, H-1887 (Xს.); **R** – Sin.15 (978 წ.); **P** – Sin.30, Sin. 38 (979 წ.); **S** – Sin.16 (X ს.); **i** – ქუთ.176 (Xს.); **s** – S 405 (Xს.); **b** – A 1699, H 1887 (Xს.); **e** – პარხლის ახალი ოთხთავი, S 4927 (Xს.); **h** – H 1240 (XI ს.); **F** – ურბნისის ოთხთავი (A 28, XIს.); **m** – მესტიის ოთხთავი (1033წ.); **G** – პალესტინური ოთხთავი (H 1741, 1048წ.); **a*** – ალავერდის ოთხთავი (A 484,1054 წ.); **V*** – ვატიკანის ოთხთავი (XI); **c** – S 962(1054წ.); **o** – Ath.62(XIს.); **I** – Q-645(XIს.); **w** – ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №1 ხელნაწერი (XIს.); **t** – A-18 (XIIს.); **r** – A 411 (XVI-XVII სს.).

გიორგი ათონელის რედაქციის (Athon.) ძირითადი ხელნაწერები აღნიშნულია შემდეგი ლიტერებით: **H** – ვანის ოთხთავი (A 1335, XII-XIII სს.); **I** – ენშიაძინის ოთხთავი (XII-XIII სს.); **K** – გელათის ოთხთავი (Q 908, XII-XIII სს.); **N** – Sin. 19 (1074 წ.); **Q** – Jer.49 (XI ს.); **Y** – Jer.153(XII ს.); **q** – Jer.93(XII ს.); **g** – ქუთ.74(XII- XIII სს.); **z** – ქუთ.75 (XII- XIII სს.); **p** – ქუთ.182(XII- XIII სს.); **Z** – Jer.103 (XIII ს.); **U** – Jer.102(XII-XIV სს.); **J** – Jer.122 (XIII-XIV სს.); **k** – ქუთ.145 (XIII- XIV სს.); **Θ** – კალიპოსის ოთხთავი (ქუთ.76, 1060წ.).

Abr; და *თაყუანის-სცეს* – *RP*; *მას* – *m*; იტყოდეს *DET[#]* პრქუეს *τ*, ხეტყოდეს *X*; ძედ *w*, ძე *Act*, ძეჭ *b*; ხარი *DET[#]c[#]wX*; შენ – *At*.

Athon: ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუკდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძჭ ღმრთისად ხარ შენ.

რომელნი *q*; თაყუანისცეს *HIKU*; ძე *NqHIKgzpUJ*; ძე ... შენ *k**.

მთ. 14,34

τ: და წიადკდა და მივიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

C: და განვიდეს და მივიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

Praeath: და განვიდეს და მივიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

და ... გენესარეთისასა *T**; განვიდეს|გამოვიდეს *A*; მივიდეს|მოვიდეს *XODAET[#]* + მიერ *Vac*or*; და განვიდეს და მივიდეს|და წიადკდა და მივიდეს *τ*; მას – *T[#]*; გენესარეთისასა *D*, გენესარეთისასა *b*, გენესერეთისასა *c*, გენესარეთასა *t*.

Athon: და განვიდეს და მივიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

მთ. 14,35

τ: და იცნეს იგი კაცთა მის ადგილისათა და მიმოდაავლინეს ყოველსა მას გარემოის სოფლებსა და მოართმიდეს მას ყოველსა სნეულებსა.

C: და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული.

Praeath: და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული.

იცნეს *t*; მათ – *Bτ*; წარავლინეს *RPVBTMfmacolwtr*|წარვიდეს *ODAE*, მიმოდაავლინეს *τ*; სანახებსა|გარემოის სოფლებსა *τ*; მოართუეს *M*; მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული| მოართმიდეს მას ყოველსა სნეულებსა *τ*; მას² – *ODAE^m*; ვნებული *c**, ვნებულნი *D*, ვნებულად *T[#]*| სნეული *B*.

Athon: და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული.

იგი – *HI*; წარავლინეს *NqKgU*; მოართუეს *HIgzpUJ*;

გარდა ამ ტიპის სხვაობისა, ტვიბერის ოთხთავის ტექსტოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი განსხვავებული იკითხვისების ნაწილი, ადიშის ოთხთავის იშვიათ, დანარჩენი რედაქციების ტექსტისაგან განსხვავებულ წაკითხვებს იმეორებს:

მთ. 15,2

τ: რადსათვს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ **სწავლასა მღდელთასა?** რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს ჭამედ პურსა.

C: რადსათვს მოწაფენი შენნი გარდავლენ **სწავლასა მას მღდელთასა?** რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

Praeath: რადსათვს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ **მოძღურებასა ხუცესთასა?** რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

გარდაჰვლენ OF, გარდავლენ hr, გარდავლენან T, გარდავლენ Bt; მოძღურებასა + მას DAEb; ხუცესთასა O; მოძღურებასა ხუცესთასა| სწავლასა მღდელთასა τ; დაიბანნიან t; კელნი + მათნი T; რაჟამს| ოდეს ODAE; პორსა w; ~ჭამედ პურსა τ.

Athon: რადსათვს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ **მოძღურებასა ხუცესთასა?** რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

რადსათვს ... ჭამად k*; გარდავლენ UJ.

მთ. 15,4

τ: რამეთუ ღმერთმან თქუა: **თავ-უყავ** მამასა შენსა და დედასა; და რომელი **ძვრსა იტყოდის** მამისათვს, გინა დედისათვს, სიკუდილით მოკუედეს.

C: რამეთუ ღმერთმან თქუა: **თავ-უყავ** მამასა და დედასა; და რომელი **ძვრსა იტყოდის** მამისათვს, ანუ დედისათვს, სიკუდილით მოკუედინ.

Praeath: რამეთუ ღმერთმან თქუა: **პატვი-ევ** მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან **თქუას ბოროტი** მამისათვს, გინა დედისათვს, მოკუედინ.

ღმერთმან -l; ბოროტი თქუას ODAEbTL; მამისათვს + და r; გინა დედისათვს - M; გინა| და ODAEb; დედისავს + სიკუდილით Vao, სიკუდილითა r.

Athon: რამეთუ ღმერთმან თქუა: **პატვი-ევ** მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან **თქუას ბოროტი** მამისათვს, გინა დედისა, სიკუდილით მოკუედინ.

მოკუედინ HigzpU

მთ. 15,6

τ: და არა **თავ-უყვის** მამასა თვსსა, – და შეურაცხ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად **სწავლითა** თქუენითა.

C: და არა **თავ-ჰყვოს** მამასა თვსსა, – და შეურაცხ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად **სწავლისა** თქუენისათვს.

Praeath: და არა **პატვი-სცეს** მამასა თვსსა, ანუ დედასა თვსსა, ესევეითართა დაუმტკიცებელ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად **მოძღურებითა** თქუენითა.

და $-T$; \sim სცეს O]- $ეც$ b ; $თვსსა^1$ $-RPVbBTMLFmGacoltr$; ანუგინა Tw , და $ODAE$; ანუ დედასა $-t$; $თვსს^2$ T , $თ-ვსსა$ w ; $ესევითარ$ $T^\#$, $ესევითარმან$ OAb] და $a - r$; $-ჰყავ$ T , $გიყოფიეს$ E ; სიტყუად] მცნება $Vaor$.

Athon: და არა **პატივ-სცეს** მამასა, ანუ დედასა $თვსსა$, $-ესევითართა$ დაუმტკიცებელ-ჰყავთ მცნება $დ$ მართისა $დ$ მოძღურებითა თქუენითა.
თქუენითა H .

მთ. 15,8

T : **ერი** ესე ბავითა ხოლო **მალიდებს** მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან.

C : **ერი** ესე ბავითა ხოლო **მალიდებს** მე, ხოლო გული მათი განშორებულ არს ჩემგან.

Praeath: **ერი** ესე ბავითა მათითა **პატივ-მცემს** მე, ხოლო გულნი მათნი შოვრად განშორებულ არიან ჩემგან.

ერი ესე] მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და Vo^ ; პატივ-მცეს VT] მსახურებს t ; მე $-r$; შორად $ODAERPbBT^*MFmGclw$, შორს $Vaor$] $ბ-რტად$ t ; განშორებულ $ODAERPvBTfGacolwtr$; ჩემგან $-ODAETr$.*

Athon: **მახლობელ არს ჩემდა** ერი ესე პირითა მათითა და ბავითა მათითა **პატივ-მცემს** მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან.

მთ. 15,9

T : **ცოდად** მმსახურებენ მე, ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.

C : **ცუდად** მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.
და $-C$; კაცთას C

Praeath: **ამაოდ** მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.
და $ამაოდ$ ETt ; მსახურებენ $ODAERPbBTLFmGwt$; რამეთუ] და $ODAET - b$; მოძღურებასა D , მოძღრებასა G ; მცნებასა $+$ მცნებასა L ; კაცთა O .

Athon: **ამაოდ** მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.
 $მსახურებენ$ qk ; \sim მცნებასა და მოძღურებასა J .

მთ. 15,11

T : არა თუ რომელი **შევაღს პირსა** და იგი შეაგინებს კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა.

C : არა თუ რომელი **შევაღს პირით**, შეაგინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა.

Praeath: არა თუ **პირად** შემაგალი შეაგინებს კაცსა, არამედ **პირით** გამოვალს შეაგინებს კაცსა.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი

არაა V; პირად]პირით DAEVcoltr; შემადლი V; შემავალი პირად T; პირით –D; გამოვალი T*, გამოვალი V]გამოვა პირით T#

Athon: არა თუ პირით შემავალი შეავინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეავინებს კაცსა.

შიავინებს q; გამავალი I.

მთ. 15,14.

τ: აცადეთ მავათ: ბრძანი არიან და წინამძღუარნი ბრძათანი...

C: ხ“აცადეთ მათ: ბრძანი არიან და წინამძღუარნი ბრძათანი...

Praeath: უტვეეთ მათ, ბრძანი არიან და წინამძღუარნი ბრძათანი...

ხოლო უტვეეთ Tt; უტვეენით VFaor; მათ]ევე Vo.

Athon: უტვეენით ევე, რამეთუ ბრძანი არიან და წინამძღუარნი ბრძათანი..

როგორც ვხედავთ, ტვიბერის ოთხთავის მათეს სახარების 14,19-15,24 მუხლების ტექსტი საკმაო სიახლოვეს ამუღავნებს ადიშის ოთხთავის ტექსტთან, თუმცა არის რამდენიმე შემთხვევა, როცა ის შორდება ადიშურ ნუსხას და წინათონური რედაქციის შემცველი სხვა ხელნაწერების იკითხვისებს თანხვდება. მაგალითად: მათეს სახარების 15,13 მუხლში ადიშის ნუსხაში არა გვაქვს სიტყვა „ძირითურთ“; რომელიც გვაქვს ტვიბერის ოთხთავსა და წინათონური და ათონური რედაქციის ნუსხათა უმეტრესობაში. ეს სიტყვა არ ჩანს მხოლოდ X საუკუნის ერთ სინურ ოთხთავში (P - Sin.30, Sin.38), რომელიც 979 წელსაა გადაწერილი.

τ: ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ყოველი ნერვი, რომელი არა დაჰნერვა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურეს.

მან]თავადმან Prot. Athon. მიუგო და – ODABERPTbMLmt; დანერვა r; ჩემმან] მან E; ზეცათამან – Fw; ძირითურთ – CP, ძირითორთ w; აღიფხურენინ l, აღიფხურენ w, აღიფხურეს ODAEVT p., აიფხურეს b, აღიფხურასი*r, აღიფხურინ c. აღმოიფხურეს C.

ტვიბერის ოთხთავში მთ. 15,8. მუხლის მეორე ნაწილის წაკითხვა „ერი ესე ბავითა ხოლო მაღიდებს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან“, მეტ სიახლოვეს ამუღავნებს პრეათონური და გიორგისეული რედაქციის ნუსხებთან, ვიდრე ადიშის ხელნაწერთან, რომელშიც არ გვაქვს სიტყვა „შორად“, გარდა ამისა, სიტყვა „გული“ და, შესაბამისად, მასთან შეწყობილი შემამსნელიც, მხოლოდით რიცხვშია: C - „ხოლო გული მათი განშორებულ არს ჩემგან“; შდრ.: Praeath. – ხოლო გულნი მათნი შორად (შორს Vaor) განშორებულ არიან

ჩემგან (ჩემგან – ODAETr); Athon. – „ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“.

3. ხანმეტობისა და ჰაემეტობის კვალი ტვიბერის ოთხთავში

IX-XI საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ა. შანიძეს, მ. შანიძეს, ი. იმნაიშვილს, ზ. სარჯველაძეს, ი. გიპერტს და ს. სარჯველაძეს აქვთ გამოვლენილი და აღნუსხული.¹⁴ ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა ა. შანიძის მიერ ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში დადასტურებული ხანმეტობის კვალი. აკაკი შენიძისა და შემდგომში, ზურაბ სარჯველაძის მიერ ერთი ხელნაწერის, ადიშის ოთხთავის, ფარგლებში გამოვლენილი ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები¹⁵ და ზ. სარჯველაძის მიერ გამოვლენილი ჰაემეტი ზმნის ფორმები Sin-15 და Sin-30-38 ოთხთავებში.

მეტად საყურადღებოდ მოგვაჩნია, რომ გამოვლინდა კიდევ ერთი ხელნაწერი, რომლის ძირითად და ჩანართ ტექსტშიც ჩანს ხანმეტობისა და ჰაემეტობის კვალი.

3.1 ხანმეტობის კვალი ტვიბერის ოთხთავის ნარევი რედაქციის ჩანართის ტექსტში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტვიბერის ოთხთავში მათეს სახარების 14,19-15,24 მუხლების ტექსტი ძირითადი ტექსტის არაორგანულ ნაწილს

¹⁴ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფ., გვ. 417-24; А.Шанидзе, Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX-X-XI веков: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, 3, თბ., 1940, გვ. 237-40; მ. შანიძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში: საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, 145-47; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963, გვ. 190; მისივე, საკითხავი წიგნი ძველ ქართულში, II, თბ., 1966, 228-29; ზ. სარჯველაძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში: საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 52, 1, თბ., 1968, გვ. 259-61; მისივე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971, გვ. 146-49; მისივე, ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ზოგ ძველქართულ წერილობით ძეგლში: ენათმეცნიერების საკითხები, 3, 2001, თბ., გვ. 100-02; ი. გიპერტი, სიახლენი ხანმეტობიდან: ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2009, გვ. 164-80; ს. სარჯველაძე, ხანმეტი დედნიდან გადაწერილი ... გვ. 79; მისივე, ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი ..., გვ. 252.

¹⁵ А. Шанидзе, Переживания..., გვ. 237-40; ადიშის ოთხთავის ტექსტისა და ენის საკითხები: ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მანხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003 წ., გვ. 71-72.

წარმოადგენს და იგი ნარევი რედაქციისაა. მთ. 14,23 მუხლში ტვიბერის ოთხთავში გვხვდება ზმნა *ხ̄იყო*.

მთ. 14,22

τ: და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთად მარტოდ თაყუანის-ცემად. და ვითარ შემწუხრდა, მარტოჲ *ხ̄იყო* მუნ.

Praeath: და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თუსავან. და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ *იყო* მუნ.

მთად *b*; ~თუსავან ლოცვად *s*; თუსავან *M*, თუსისავან *b*, თ-უსავან *w*; შე-რაჲ-მწუხრდა + და *t*; მარტო *b*.

C: და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თუსავან. და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ *იპოვა* მუნ.

και ἀπολύσας τοὺς ὄχλους ἀνέβη εἰς τὸ ὄρος κατ' ἰδίαν προσεύχασθαι ὁπίσθεν δὲ γενομένης μόνης ἦν ἐκεῖ.

სახარების ამ მუხლში საუბარია იესოს მთაზე ასვლასა და იქ ყველასაგან განმარტოებით ლოცვაზე. მუხლში ბერძნული *μόνος ἦν*-ის შესატყვისად ქართული ოთხთავის სხვა რედაქციებში *მარტოჲ იყო* და *მარტოჲ იპოვა* წერია. ტვიბერის ოთხთავის ნარევი რედაქციაში აქ მარტო *ხ̄იყო* გვაქვს. *ხ̄იყო* რომ დაეშალოთ, მაშინ მივიღებთ: *მარტოჲ ხოლო იყო*, რაც ნონსენსს წარმოადგენს, რადგანაც მივიღებთ ამგვარ შინაარსს: მარტო მარტო იყო. აქ ვერც ბერძნული *δὲ*-ს ფარდად მივიჩნევთ *ხოლო*-ს, რადგანაც ამ ადგილას *δὲ* არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება.¹⁶

ხანმეტი ზმნური ფორმის კვალის გამოვლენა ნარევი რედაქციის ტექსტში მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ახლა ამ რედაქციის ტექსტიც შეიძლება ოთხთავის ქართული თარგმანის უძველეს პერიოდს, ხანმეტობის ხანას, დაუკავშირდეს.

3.2 ხანმეტობის კვალი ტვიბერის ოთხთავის პროტოფულგატისეული რედაქციის ტექსტში

მათეს სახარების ქართული თარგმანის 16.11 მუხლში Sin-15, Sin-30-38, ბერთის, წყაროსთავის, მესტიის, ტბეთის, A-1699, ურბნისის, პალესტინის,

¹⁶ The Greek New Testament, Fourth Revised Edition edited by B.Aland, K.Aland, J.Karavidopoulos, C.M.Martini, and B.M.Metzger, Stuttgart, 1994, p.58; New Testament Greek Manuscripts, Variant Readings Arranged in Horizontal Lines against Codex Vaticanus, Matthew, edited by R.J.Swanson, Sheffield-Pasadena, 1995, p.138-39.

ვენის, S-962, A-18 და ტვიბერის ოთხთავის ტექსტში წერია: „*ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუნ: ხეკრძალენით ცუმისაგან ფარისეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა?*“

პროტოვულგატის რედაქციის სხვა დანარჩენი ხელნაწერების გადამწერებს შეუმჩნევიათ ზმნაში *ხეკრძალენით* ხან-ის ზედმეტობა და ის თავიანთ ტექსტებში აღარ გადაუტანიათ. არც ადიშის ოთხთავის გადამწერს დაუწერია ამ ადგილას ხანი: ადიშის და პროტოვულგატის რედაქციის სხვა ხელნაწერებში გვაქვს: „*ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუნ: ხეკრძალენით ცუმისაგან ფარისეველთაჲსა და საღუკეველთაჲსა?*“

ურბნისის და პალესტინის ოთხთავების ტექსტის გამომცემელმა ი. იმნაიშვილმა თავის წიგნში „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია,“ მთ. 16,11 მუხლის ტექსტში ზმნაში ხანი გამოტოვა და მხოლოდ „*ხეკრძალენით*“ დაბეჭდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ხელნაწერში ის დასტურდება. ი. იმნაიშვილი ამ მუხლის სქოლიოში უთითებს: „*ხეკრძალენით FG. ხანმეტობის ნაშთი უნდა იყოს („ხოლო“ უადგილოა აქ).¹⁷ მართლაც, აქ „ხოლო“ სრულიად უადგილოა, მაგრამ როგორც სხვა ხანმეტობის ნაშთი IX-XI საუკუნეთა ხელნაწერებში, ეს გრაფემაც შემთხვევით გადაწერეს გადამწერებმა. ბერძნულ დედანში არც აქ გვხვდება ო, რომლის ფარდიც, ჩვეულებრივ, არის ქართული „ხოლო“.*

3.3 ჰაემეტობის კვალი ტვიბერის ოთხთავში

მარკოზის სახარების 5,39 მუხლის ტვიბერის ოთხთავში დაცულ ტექსტში დასტურდება ჰაემეტი ზმნა: „*გრძაჲ ეგე არა მოძკუდარ არს, არამედ სძინავს*“.

ამავე მუხლის ტექსტებში პროტოვულგატისა და ადიშური რედაქციის ხელნაწერებში ჰაემეტი ფორმა არ გვაქვს:

C: *გრძაჲ ეგე არა მოძკუდარ არს, არამედ სძინავს.*

Praeath: *გრძაჲ ეგე არა მოძკუდარ არს, არამედ სძინავს.*

მხოლოდ ოპიზის ოთხთავში დასტურდება აქ *სძინავს* ფორმა.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავი მრავალმხრივ საინტერესო ხელნაწერია. XI საუკუნეში გადაწერილი ამ ნუსხის ტექსტი ერთ-

¹⁷ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 313.

ერთი უძველესია, რასაც მასში გამოვლენილი ხანმეტობისა და ჰაემეტობის კვალიც მოწმობს. ნუსხაში წარმოდგენილი ორივე რედაქციის ტექსტი თანაბრად მნიშვნელოვანია ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციათა სათარგმნი დედნისა და ამ რედაქციათა ურთიერთმიმართების კვლევის საკითხებისათვის.

ლიტერატურა და წყაროები:

- ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მახანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003
- ი. გიპერტი, სიახლენი ხანმეტობიდან: ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2009, გვ. 164-80
- დ. თვალთვაძე, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის M-41 ხელნაწერში დაცული მათეს სახარების ტექსტისათვის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 2010, გვ. 43-55
- ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თსუ შრომები, ტ. 28, თბ., 1946, გვ. 183-236
- ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია: ლიტერატურული ძიებანი, V, თბ., 1949, გვ. 291-321
- ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მარკოზის თავის მაგალითზე: პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1949, გვ. 211-40
- ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის თავისებურებანი მათეს და იოვანეს თავების მაგალითზე: პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1959, გვ. 299-344
- პ. ინგოროვცა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ. 4, თბ., 1978
- ს. კაკაბაძე, სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5-6 საუკუნეებში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით: საისტორიო ძიებანი, თბ., 1924
- ე. მეტრეველი, მესტიის მუზეუმში დაცული ხელნაწერების კატალოგი, თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ელენე მეტრეველის არქივი, № 369
- ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია, ტექსტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-1240 XI ს. ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სოფიო სარჯველაძემ, თბ., 2010
- ზ. სარჯველაძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში: საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 52, 1, თბ., 1968, გვ. 259-61
- ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971
- ზ. სარჯველაძე, ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ზოგ ძველქართულ წერილობით ძეგლში: ენათმეცნიერების საკითხები, 3, 2001, თბ., გვ. 100-02
- ს. სარჯველაძე, იყო თუ არა ძველ ქართულ ენაში სიტყვა „სუმუროვანი“? ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბ., 2003, გვ. 108-111
- ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ.წ.), გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945
- ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 313
- ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფ., გვ. 417-24

მ. შანიძე, ჰაემეტოზის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში: საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, 145-47

ხანმეტი ტექსტები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984

ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949

ტვიბერის ოთხთავი – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის მესტიის ხელნაწერი №73

A. Шанидзе, Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX-X-XI веков: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, 3, თბ., 1940, გვ. 237-40

The Greek New Testament, Fourth Revised Edition edited by B. Aland, K. Aland, J. Karavidopoulos, C.M. Martini and B.M. Metzger, Stuttgart, 1994

New Testament Greek Manuscripts, Variant Readings Arranged in Horizontal Lines against Codex Vaticanus, Matthew, edited by R. J. Swanson, Sheffield-Pasadena, 1995

ქართული ოთხთავის წინათონური რედაქციის (Praeath.) ხელნაწერები:

X – ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); **O** – ოპიზის ოთხთავი (913 წ.); **D** – ჯრუჭის ოთხთავი (H 1660, 936 წ.); **E** – პარხლის ოთხთავი (A-1453, 973წ.); **B** – ბერთის ოთხთავი (Xს.); **T** – წყაროსთავის ოთხთავი (A-98, Xს.); **M** – მარტვილის ოთხთავი (S-391, Xს.); **L** – ტბეთის ოთხთავი (995წ.); **A** – ქსნის ოთხთავი (A 509, Xს.); **b** – A-1699, H-1887 (Xს.); **R** – Sin.15 (978 წ.); **P** – Sin.30, Sin. 38 (979 წ.); **S** – Sin.16 (X ს.); **i** – ქუთ.176 (Xს.); **s** – S 405 (Xს.); **b** – A 1699, H 1887 (Xს.); **e** – პარხლის ახალი ოთხთავი, S 4927 (Xს.); **h** – H 1240 (XI ს.); **F** – ურბნისის ოთხთავი (A 28, XIIს.); **m** – მესტიის ოთხთავი (1033წ.); **G** – პალესტინური ოთხთავი (H 1741, 1048წ.); **a*** – ალავერდის ოთხთავი (A 484, 1054 წ.); **V*** – ვატიკანის ოთხთავი (XI); **c** – S 962(1054წ.); **o** – Ath.62 (XIIს.); **l** – Q-645 (XIIს.); **w** – აგსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №1 ხელნაწერი (XIIს.); **t** – A-18 (XIIს.); **r** – A 411 (XVI-XVII ს)

ქართული ოთხთავის გიორგი ათონელის რედაქციის (Athon.) ხელნაწერები:

H – ვანის ოთხთავი (A 1335, XII-XIII სს.); **I** – ენშიაძინის ოთხთავი (XII-XIII სს.); **K** – გელათის ოთხთავი (Q 908, XII-XIII სს.); **N** – Sin. 19 (1074 წ.); **Q** – Jer.49 (XI ს.); **Y** – Jer.153(XII ს.); **q** – Jer.93 (XII ს.); **g** – ქუთ.74 (XII- XIII სს.); **z** – ქუთ.75 (XII- XIII სს.); **p** – ქუთ.182 (XII- XIII სს.); **Z** – Jer.103 (XIII ს.); **U** – Jer.102 (XII-XIV სს.); **J** – Jer.122 (XIII-XIV სს.); **k** – ქუთ.145 (XIII- XIV სს.); **Θ** – კალიპოსის ოთხთავი (ქუთ. 76, 1060 წ.)

The Old Georgian Four Gospels: **Khanmeti and Adishi Redaction**. On the basis of the original manuscripts, edited by Sophio Sarjveladze and Darejan Tvaltvdze, Tbilisi, 2001-2002. ARMAZI version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 26.3.2002/18.10.2002 (<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/adisnt/adisn001.htm>)

The Old Georgian Four Gospels: **Preathonian Redaction**. On the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sophio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvdze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.2002 (<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan001.htm>)

The Old Georgian Four Gospels: **Georgi the Hagiorite's Redaction**. On the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sophio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvdze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.2002 (<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giornt/giorn.htm>)